შაბათი, 21 ივლისი 1907 წ. — წელიწადი პირველი № 158

63

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყ-ველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

დამწუხრებულნი **თეკლე ალექსანდრეს ასული, ნინო დავითის ასული, ნესტორ გიორგის ძე, ოლინკა ვასილის ასული, გიორგი, მიხეილ, ნინა და შალვა გარსევანის ძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის ძვირფას მეუღლის, მეორეს შვილის, მესამეს ძმის, მეოთხეს მაზლის და უკანასკნელთა მამის გარდაცვალებას ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ

**გარსევან გიორგის ძის რატიანისას.**

დასაფლავება დ. ხონში კვირას 22 ივლისს, მაცხოვრის ეკკლესიაში.
(2—218—1)

## „ფუნიკულერის“ რესტორანში

ყოველ-დღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, საღამოს **6** საათიდან ღამის **12** საათამდე. ა. სანოროს ლოტბაროგით.
(20—193—7)

## კერძო სასწავლებელი პირველ ხარისხისა

(რეალურ-კლასიკური გიმნაზია)
ექვემდებარება საერო განათლების სამინისტროს

### ვ. ა. და ვ. ს. ლევანდოვსკისა.

სასწავლებელი შესდგება სამ კლასიან **„მოსამზადებელ სკოლისაგან“** საბავშვო ბაღით, სამ კლასიან **„დასაწყისს სკოლისაგან“** და ხუთ კლასიან **„საშუალო სკოლისაგან“**.

**პანსიონი ვაჟებისათვის**

15 სექტემბრამდე მიიღებიან (განსაზღვრული რიცხვი) ვაჟები და ქალები „მოსამზადებელ სკოლაში“.

1. სავალდებულოა პრაქტიკულად შესწავლა ფრანგული, გერმანული და ინგლისურ ენებისა; ვრცლად შესწავლა მათ. და საბუნებ. მეცნიერებათა; ადგილობრივ ენებისა, მუსიკისა და ხელოვნების შესწავლა სავალდებულო არ არის.
2. ბავშვთა გონებისა, ხასიათის და ნების აღზრდა; ინდივიდუალობის განვითარება.
3. ჯანმრთელობის შენახვა და ფიზიკური განვითარება ბავშვებისა: გიმნასტიკა, ატლეტიური სათამაშოები, სპორტი, მუშაობა ინგლისურ და ამერიკულ სკოლების სისტემისამებრ და ექიმების მეთვალყურეობით.

ცნობებისთვის მსურველმა 15 აგვისტომდე უნდა მიმართოს ტეხნიჩესკი ქუჩაზე (დიდი მთავრის ქუჩის მახლობლად), ს. № 4. საქმე დღეებში 9-დან 11 ს. (10—6—1)

## ახლად მოწყობილი სტამბა „იდეალი“

ელექტრონით მსწრაფლ-მბეჭდავი.

### მიიღება ყოველგვარი საქმე რუსულ და ქართულ ენაზე.

**ფასები ზომიერია**

ასრულება სუფთად და კოხტად.

ადრესი: ნიკოლოოზის ქუჩა, № 6. (სტ. 0—5)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—18)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**ე. მ ა შ ა ქ ი ძ ე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—92)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—140)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიდება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.
**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.
**ა. ნ. ეგიაზაროვი**: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ქალაცოვიჩი**: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ო. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. ზ. კამსინცი**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**მ. ა. ზეიგერი**: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
**ა. ნ. თუმანოვი**: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—91)

ელექტროთერაპიული კაბინეთი
მ ი ხ ე ი ლ
## მედევანიშვილისა
გაიხსნება 1 აგვისტოდან. (3—6.—2)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**
ე ქ ი მ ი მ ა ჭ ი უ ხ ო ვ ი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჰიშკარიდან. (60—ფოს.—48)

## ქუთაისის გიმნაზია

ამით ეცხადებს, რომ გამოსაცდელი ეგზამენები ახალ მოსწავლეთა მისაღებად მოსამზადებელ და პირველ კლასებში და აგრეთვე ხელმეორე გამოცდა მოხდება 21-დან 31 აგვისტომდე. დანარჩენ კლასებში ადგილი არ არის. თხოვნებისა და საჭირო ქაღალდების მიღება გათავდება 18 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

გამოცდის დაწვრილებითი წეს-რიგის გაცნობა შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში ამა წლის 1 აგვისტოდან. (3—6—2)

**ტფ. წვრილ ვაჭართა საყურადღებოდ.**

ტფილისის საბჭოს დარბაზში სამშაბათს, მკათათვის 24 რიცხვს, 1907 წ., დილის 10 საათზედ, მთავრობის ნებართვით დანიშნულია **ტფილისის წვრილ ვაჭართა საზოგადო კრება** ასარჩევად საზოგადოების კომიტეტისი, სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათის ნაცვლებისა. ვთხოვთ ყველა იმ, წვრილ მოვაჭრეებს, რომელნიც კი თანაუგრძნობენ ამ საზოგადოებას, უთუოდ დაესწრნენ კრებას. **საზოგადოების დამფუძნებელი წევრნი.** (3—216—1)

**ჭიათურის დრამატიული დასი**

შაბათს 21 ივლისს **დ. ყვირილაში** ადგილობრივ საზეგრო სამმართველოს დარბაზში მართავს წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება:

I „**დამნაშავეა**“
დრამა 3 მოქ. ფოსისა, თარგმანი ნიკიტინისა.
და II **ოთხი იმერელი**,
ვოდ. 1 მოქ. დ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ვახიშვილი, იურკევიჩი; ბ. ბ. შოთაძე, ლოლუა, ირაკლიძე, მარკველი და შალიკაშვილი.

ადგილების ფასები 20 კაპ.-დან 2 მან.-დეა, ბილეთების ყიდვა შეიძლება წარმოდგენის დღემდე დ. ყვირილაში პ. ლეჟავასთან. (უ. 3—3)

**დ. ჭ ი ა თ უ რ ა**

კვირას, 22 ივლისს, **დაბა ჭიათურაში** გაიმართება

## სალიტერატურო დილა

**სპარსეთის ქართველების შესახებ.**

I. იაკ. ცინცაძე წაიკითხავს: „ქართველების გადასახლება სპარსეთში შაჰ-აბაზის დროს და ლ. აღნიაშვილის მოგზაურობა სპარსეთის ქართულ სოფლებში“.

II. ყოდამ-ჰუსეინ ონიკაშვილი: „სპარსეთის ქართველები და მათი ყოფაცხოვრება“.

დასაწყისი დილის 12 საათზე. ბილეთები 1 მ.-დან 20 კაპეიკამდე.

## ტფილისი, 21 ივლისი.

როგორც იცით, რუსეთის დიდმა აგრარულმა მოძრაობამ აიძულა ბიუროკრატია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მიწის საკითხისათვის და რაიმე რეფორმა შეემუშავებინა. ამ საკითხისთვის გვერდის აქცევა შეუძლებელი იყო, რადგან მთავრობაც კი ხედავდა, რომ სარევოლიუციო მოძრაობას სწორედ აგრარულ საკითხის გამწვავებული მდგომარეობა ასაზრდოებდა. ნაცადი ღონისძიებანი—დაპირება, მუქარა, პოლიცია და ჯარი—საქმეს ვეღარ შველოდნენ და გლეხთა ცოტად თუ ბევრად დასამშვიდებლად საჭირო შეიქნა რაიმე რეალურ დახმარების აღმოჩენა.

მაშინ მთავრობამ შეიმუშავა თავისი პლანი აგრარულ რეფორმისა, რომლის ძირითადი მუხლები ამცნო ქვეყანას პირველ სათათბიროს არსებობის დროს ცნობილს საagrარო დეკლარაციაში. მთავრობის პროექტი სულ სხვა პრინციპებზე აგებული, ვიდრე პირველსა და მეორე სათათბიროს უმრავლესობას სურდა; მას, რასაკვირველია, არა აქვს-რა საერთო სოციალისტურ პარტიების აგრარულ პროექტებთან; მაგრამ კადეტების პროექტისაგანაც დიდათ განსხვავდება. ამათ შორის საერთო ისაა მხოლოდ, რომ ორივენი საჭიროდ სთვლიან მიწის ფონდის შექმნას, რათა ამ ფონდით დაკმაყოფილებულ იქმნას გლეხთა საჭიროება; შემდეგ კი ეს პროექტები ერთმანეთს შორდებიან. კადეტები ედიარებენ იძულებით ჩამორთმევას, მთავრობა ნებაყოფლობით პრინციპს ირჩევს; კადეტები, მიწებს საკუთრებათ არ ურიგებენ გლეხთ, არამედ მფლობელობაში აძლევენ; მთავრობის პროექტი წვრილ კერძო მესაკუთრეებს ჰქმნის და სხვა.

მთავრობამ არ დაუცადა სათათბიროს პროექტს და პირდაპირ შეუდგა თავის პლანის ასრულებას. ჯერ ბევრი სახაზინო და საუფლისწულო მამულები გადაეცა სახელმწიფო საგლეხო ბანკს და ებრძანა მათი გასყიდვა გლეხებზე შეღავათიანის პირობებით. შემდეგ, როცა პირველი სათათბირო იქმნა დათხოვნილი, მთავრობამ დააწესა „მიწის საქმის მომწყობი კომისიები“, რომელთაც დაევალა შუამავლობა მემამულეთა და გლეხთა შორის მიწების ყიდვა-გაყიდვის საქმეში და აგრეთვე მიწის ფონდის განაწილება. ამავე დროს გამოცხადდა ცნობილი კანონები თემიდან გამოყოფისა და ნადელების დაგირავების შესახებ... თითქმის ერთი წელიწადი გადის აგერ, რაც მთავრობის ამ პლანით აგრარული რეფორმა ხდება და თავისი ნაყოფიც მოაქვს. პირველ ხანებში არავის ჰქონდა დიდი რწმენა იმისა, რომ მთავრობა შესძლებს თავის განზრახვის ასრულებას. ფიქრობდნენ, რომ საგლეხო ბანკი ვერ მოახერხებს იმ ფონდის ლიკვიდაციას, რომელიც შესდგება სახაზინო, საუფლისწულო და კერძო მამულებიდან, რადგან ისედაც ძალიან დავალიანებულია და ამ ოპერაციისთვის დიდი თანხა დასჭირდებაო; ფიქრობდნენ აგრეთვე, რომ გლეხებიც არ მოისურვებენ მამულების შეძენას საგლეხო ბანკის შემწეობით და დადებულ მძიმე პირობებით; იმედი ჰქონდათ ამასთანავე, რომ მეორე სათათბირო გააუქმებს უიმისოდ გამოცემულს კანონებს და შეაჩერებს მთავრობის გეგმის ასრულებას. მაგრამ ყველა ეს მოლოდინი არ გამართლდა და ჯერჯერობით მაინც დიდი რეფორმა თან და თან ხორციელდება.

უკანასკნელის ზოგად ცნობებიდან სჩანს, რომ საგლეხო ბანკს იმ ხნის განმავლობაში, რაც მთავრობის დავალებას ასრულებს, შეუგროვებია 350 მილიონ მანეთის ღირებულობის მიწის ფონდი. 1—ლ მაისამდე ამ ფონდიდან საბოლოოდ მიუყიდნია გლეხთათვის 165 ათასი დესეტინა მიწა და 800 ათასამდე დესეტინა „მიწის კომისიებისთვის“ გადაუცია გლეხთა შორის გასანაწილებლად. თავის მხრით მიწის კომისიებსაც გაუნაწილებიათ და დაუმზადებიათ გასანაწილებლად რამდენიმე ასი ათასი დესეტინა. ამავე დროს შიდა რუსეთის სხვა და სხვა ადგილებიდან ბევრი ცნობა მოდის იმის შესახებ, რომ გლეხთა ჯგუფები გამოდიან თემებიდან და სათემო მიწებს იყოფენ.

მართალია, ეს ციფრები და ცნობები არ ამტკიცებენ, რომ ბიუროკრატიის მიერ შექმნილი პლანი სწრაფად და სავსებით ხორციელდებოდეს; მაგრამ იმის მტკიცება ახლა მაინც აღარ შეიძლება, რომ მთავრობა თავის პროექტს ოდნავადაც ვერ აასრულებსო და დამარცხდებაო. სინამდვილე გვიჩვენებს, რომ დამარცხებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა და რომ, პირიქით, რუსეთში დიდი ცვლილება უკვე ხდება. მიწა დაიძრა და შესამჩნევად ხდება მისი გადანაწილება. მრავალი კერძო დიდი მამული იყიდება და საგლეხო ბანკის ხელში მართლა გროვდება თან და თან მიწის ფონდი. მობილიზაცია მიწის საკუთრებისა თვალსაჩინო პროცესს შეადგენს უკვე და მთავრობის მთავარი განზრახვა, სახელმძღვანელო ტენდენცია ჯერ მაინც იმარჯვებს... რაში მდგომარეობს ეს მთავარი განზრახვა და ხელმძღვანელი ტენდენცია მთავრობის საagrარო გეგმისა, ამაზე ბევრჯელ გვქონია ბაასი ჩვენს გაზეთში და აღარ გავიმეორებთ; ვიტყვით მხოლოდ, რომ მიზანი ბიუროკრატიის გეგმისა არის: გლეხობაში დიფერენციაციის დაჩქარება, დანაწილება რუსის გლეხობისა საშუალო და მცირე მემამულეებზე, შექმნა მესაკუთრე გლეხობის კლასსისა. რუსეთის სათემო მიწათმფლობელობის წეს-წყობილება, ერთის მხრით და მიწების სივიწროვე გლეხთა შორის, მეორეს მხრით დღემდის თითქმის ერთგვარ მასსად სტოვებდნენ გლეხობას; გლეხობა თითქმის მთლად წარმოადგენდა „ნახევრად-პროლეტარის“ მასსას და სოფლად მცირე ბურჟუაზიის გაჩენა ბრკოლდებოდა. მთავრობამ განიზრახა ამ მასსის დანგრევა-დაყოფა მიწის მობილიზაციისა და თემობის დაშლის კანონებით, რაც დაიწყო კიდეც, — დაიწყო პროცესსი სოფლის წვრილ ბურჟუაზიის ამაღლებისა.

ამ ეკონომიურ გეგმის უკან ამოფარებულია პოლიტიკური იდუმალი განზრახვა და იმედი რუსეთის მმართველ წრეებისა. დღემდის გლეხობა ერთად იყო და საერთო მიზანი მიწის ხელში ჩაგდებისა სარევოლიუციო მასსას ჰქმნიდა მას. აგრარული რეფორმა მთავრობისა გაჰყოფს ამ მასსად და შეჰქმნის კონსერვატიულს ელემენტს სოფლის წვრილ ბურჟუაზიისას; ამაზედ-კი შემდეგ შეეძლებათ დაფუძნება იმ კლასსებს, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ფართო პოლიტიკურისა და სოციალისტურის რეფორმებისა... ჯერ-ჯერობით, როგორც ვნახეთ, მთავრობა კიდეც ასრულებს ამ პლანს და რაც ძალ-ღონე აქვს აძლიერებს რეაქციონურ მოძრაობას, რადგან სწორედ ეს რეაქცია უწყობს ხელს—უკანტროლოდ და დაუბრკოლებლად განაგრძოს თავისი სოციალური ექსპერიმენტები.

### პროფესიონალური მოძრაობა რუსეთში.

ამას წინად პეტერბურგში დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა კონფერენციის მოწვევის ორგანიზაცია. კომისია მხნედ შეუდგა საქმეს და ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებთან გამართა მიწერ-მოწერა და სთხოვა, შეეტყობინებინათ კომისიისთვის თავიანთი აზრი კონფერენციის მოწვევის შესახებ და მოეწოდებინათ მასალა შესახებ პროფესიონალურ მოძრაობისა და საამისო ორგანიზაციის შესახებ ადგილობრივ. ადგილობრივ ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა უარჰყო კონფერენციის მოწვევა აგვისტოში. თავის მხრით საორგანიზაციო კომისიამ კონფერენციის მოწვევის ვადა დანიშნა ოქტომბერი, მაგრამ ჯერ-ჯერობით გადაჭრილი ვადა დანიშნული არ არის. გამოირკვა მხოლოდ, რომ კონფერენციის მოწვევა შემოდგომამდის არ მოხერხდება. კომისიამ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, შეაგროვა მასალა და დაახლოვებითი სტატისტიკა შესახებ პროფესიონალურ კავშირების მდგომარეობისა, თუმცა, როგორც თვითონ ავტორები აცხადებენ, „ამ ცნობებს დიდი შესწორება სჭირია“.

კომისიის ცნობით დღეს რუსეთში ითვლება 652 კავშირი. რომელთაც 255000-ზე მეტი წევრი ჰყავთ. ეს რიცხვი შესამჩნევად შეიცვლება, თუ მხედ-

ველობაში მივიღებთ, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებს სხვა და სხვანაირი წევრების მისაღები წეს-რიგი ჰქონიათ. ზოგიერთა ორგანიზაციის წესდების ძალით წევრად ითვლება მხოლოდ ის მუშა, რომელსაც საწევრო გადასახადი შემოაქვს, ზოგ ორგანიზაციის წესდებით კი წევრად ითვლება ყველა, ვინც მოისურვებს და ჩაეწერება. ამიტომ ადგილობრივ ორგანიზაციების ანგარიშები და სტატისტიკა, სხვა და სხვა პრინციპებითა და მეთოდებით შედგენილი, მოკლებულია სისტემასა და ერთფეროვნებას, რის გამო შეუძლებელია დანამდვილებით ან დაახლოვებით მაინც გამოანგარიშება წევრთა რაოდენობისა. რიცხვი ნამდვილ, აქტიურ წევრებისა არ აღემატება 90000 კაცს. კომისიის მიერ დაბეჭდილ ცხრილში ნაანგარიშევი არ არის პროფესიონალური ორგანიზაციები პოლონეთისა, კავკასიისა, ციმბირისა და ბალტიის გუბერნიებისა, სადაც 25,000-მდე ნამდვილი წევრი უნდა იყოს.

ყველაზე მეტი ორგანიზაცია დაუარსებიათ ვაჭრობაზე მომუშავეთ—101, შემდეგ ტანისამოსის დამმზადებლებს—89, ტყავის მუშებს—85, ყველაზე ნაკლები—სამთო მუშებს აქვთ (მხოლოდ 5). პროცენტობით რომ ვიანგარიშოთ, ყველაზე ძლიერი კავშირი ჰქონიათ ლითონის მუშებს, რომელთა საერთო რიცხვის 8,6% შეკავშირებულია. მათ მისდევენ სურსათის დამმზადებელნი—7,2% ყველაზე სუსტნი ისევ სამთო მუშები არიან, რომელთა საერთო რიცხვიდან მხოლოდ 1,1% შეკავშირებულია. მაგრამ ამათზე უარეს დღეში არიან ტრანსპორტისა და სამეურნეო მუშები. საერთო რიცხვი ამ დარგის მუშებისა $3\frac{1}{2}$ მილიონს აღემატება. მაგრამ მათი ორგანიზაცია მეტის მეტად სუსტია. რკინის გზის მუშებიდან დღემდის მხოლოდ 0,9% შეკავშირებულია, ხოლო სამეურნეო მუშებს დღემდის არა აქვთ მუდმივი ორგანიზაცია. ისინი ადგენენ კავშირს ზაფხულობით, როცა სამუშაო აქვთ; ზამთრობით კი იშლებიან და ისევ მომავალ ზაფხულს ელიან. პროფესიონალური მოძრაობა მხოლოდ ეხლა ხანს დაიწყო და ამიტომ მისი სისუსტე და დაქსაქსულობა საკვირველი არ არის. არ არსებობს ერთი რომელიმე გარკვეული საორგანიზაციო გეგმა, ერთი წესდება და ერთი სისტემა. მომავალ კონფერენციის უმთავრესი საქმეც სწორედ ეს არის: მან უნდა შეიმუშაოს ძირითადი პრინციპები მოძრაობისა, საორგანიზაციო გეგმა და დღევანდელი დაქსაქსული მოძრაობა გარკვეულ კალაპოტში ჩააყენოს.

# ახალი ამბავი

**სამხედრო წესები.** ჩერნოგორსკის გუბერნიის თუფსეს ოლქში სამხედრო წესები შემოიღეს.

**მკვლელობა.** შეითან ბაზარში, ბოტანიკურ ბაღის შესავალთან, ღმართზე, უცნობ შეიარაღებულ კაცს რევოლვერით მოუკლავს მე-6 საპოლიციო ნაწილის მცხოვრები სულთანოვი. მკვლელი მიიმალა. მიზეზი მკვლელობისა არ იციან. პოლიციის განკარგულებით ის სავაჭრო დაწესებულებანი, რომელნიც მკვლელობის ადგილის მახლობლადაა, დაუკეტიათ.

**მწერლის მკვლელობა.** ტფ. მაზრის სოფელ ლვევში შემდეგი მკვლელობა მომხდარა: 16 ივლისს სოფელ ზევრეთიდან ლვევში წასულან მამასახლისი, სოფლის მწერალი ა. ქავთარაძე, და კანცელარიის წერილების დამტარებელი ეგნატე კარგუაშვილი. ტყეში, ნაშუადღევის 5 საათზედ, საფარიდან მათთვის ორჯელ თოფი უსროლიათ. იქვე მოუკლავთ მწერალი ალ. ქავთარაძე. სტრაჟნიკები დასდევნებიან მკვლელებს.

**სასულიერო სემინარია.** საქართველოს ექსარხოსმა დეპეშა გამოგზავნა სინოდიდან ეპისკოპოს გრიგორის სახელზე სემინარია რჩება ისევ ძველ შენობაში და პირველ კლასის ორი განყოფილება კიდევ უნდა გაიხსნასო. სემინარიის მთავრობა შეუდგა ძველ შენობის რემონტს და აპირებს მისაღებ ეგზამენების დაწყებას 15 აგვისტოდან.

**საბეჭდავ მაშინის გატაცება.** „ზაკ.“-ს ბათუმიდან ატყობინებენ: 18 ივლისს, ღამის 10 საათზე, 12-მდე შეიარაღებული უცნობი შევარდა შაპიროს სტამბაში, დააპატიმრა იქ მყოფნი, დაშალა ამერიკული საბეჭდი მაშინა და ორის ეტლით წაიღო. უცნობებისა დღესაც ვერაფერი ვერ გაუგიათ.

**საავტომობილო მიმოსვლა.** მ. კლებანსკიმ ითხოვა, ნება მიეცეს გამართოს საავტომობილო მიმოსვლა ტფილისიდან კოჯორამდე და დუშეთამდე.

ექიმმა ნ. შენგელიამ ითხოვა ნებართვა საავტომობილო მიმოსვლის მოწყობისა ახალსენაკიდან ზუგდიდამდე და ზუგდიდიდან წალენჯიხამდე. შენგელია მონოპოლიას თხოულობს ამ გზაზე 10 წლის ვადით.

**გაძარცვა ზუგდიდში.** ზუგდიდში, საავგენტოს დეპეშის სიტყვით, ხუთი შეიარაღებული კაცი დღისით თავს დაეცა მიმავალ ვაჭარს. წაართვეს 850 მანეთი. სტრაჟნიკები და მცხოვრებნი გამოუდგნენ. ერთი მოჰკლეს, ხოლო სამი დაიჭირეს. ერთი მდევარი დაიჭრა.

**ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1. „იგავ-არაკები“ კრილოვისა, თარგმანი აკაკისა. ახალი სურათებიანი გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოებისა. წიგნი სამას გვერდზე მეტს შეიცავს და ღირს სულ იაფად—ათ შაურად; 2. „პირველი სიყვარული“, მოთხრობა ი. პაიჭაძესი, ფასი ერთი შაური.

**ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნება ო. ბუბუროვი. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ ხაზულგაკოვს და მუსა რიზაოღლს. იარაღის ტარებისთვის დააპატიმრეს ორი კვირით კაჰრეთელი ზურია ბეჟერაშვილი და არაშენდელი ანდრო მოსულიშვილი; სამი თვით—ვეჯინელი ნიკო კაპიტაშვილი. ხუთი თუმნით დააჯარიმეს ფურნის პატრონი ალექსი კაპლანიანცი. მიზეზი ის არის, რომ პოლიციას არ აცნობა მოსამსახურეთა გაფიცვა.

**ჯამაგირები ვერ დაარიგეს.** ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებათა მოხელე მოსამსახურეებმა გუშინ 20 ივლისს ჯამაგირები ვერ მიიღეს, რადგან ქალაქის კასაში გროში რა არის, გროშიც აღარ მოიპოვება. შეპირდნენ ჯამაგირებს 5 დღის შემდეგ.

**სალიტერატურო დილა დაბა ჭიათურაში.** ხვალ, 22 ივლისს, დაასრულებენ სპარსელი ქართველები დასავლეთ საქართველოში მოგზაურობას. 22 ივლისს დაათვალიერებენ ჭიათურას და გამართავენ სალიტერატურო დილას იმავე პროგრამით, როგორც სხვაგან იყო.

**ლოლაძის მოკვლის საქმე.** გამოძიება ლოლაძის მოკვლის შესახებ განჯაში უკვე დასრულებულა. სამართალში მიცემული არიან განჯის მცხოვრებნი, სულ 8 კაცი, რომელთა შორისაა: ნაფიცი ვექილა ბაბაკევსოვი, მემამულე მელიქ-მნაცაკანოვი, ვაჭარი ათანასოვი და სხვანი.

**ქართული სკოლა ხარფუხში.** ტფ. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ დაადგინა, ხარფუხის სასწავლებლიდან გამოჰყოს ქართული განყოფილება და ქართულ სკოლისათვის განსაკუთრებული შენობა დაიქირაოს. შენობის მონახვა და დაქირავება დაევალა ხმოსნებს ღულაძეს და ქანანოვს.

**სიების შემდგენელთა მოთხოვნილება.** საარჩევნო სიების შემდგენელებმა ქალაქის გამგეობას გამოუცხადეს, რომ ჩვენთვის საძნელოა 8 საათს მუშაობა დღეში და ამიტომ შეგვიმცირეთო. გამგეობამ დაადგინა, ნება მიეცეთ სიების შემდგენელთ 9 საათიდან 2 საათამდე იმუშაონ. ჯამაგირად თითოს 37 მან. 50 კაპიკზე მეტი არ ექნება.

**საექიმოები.** ტფ. საგუბერნიო სამართველოს გადაწყვეტილება სასოფლო საექიმოების დაარსების შესახებ ბორჩალოსა და გორის მაზრებში უკვე სისრულეში მოჰყავთ. არჩეულ იქმნა ბორჩალოს მაზრაში სოფელ ბაშკიჩეტი, ხოლო გორის მაზრაში—სოფელ ახალქალაქი. მოსამსახურეთა შტატი უკვე შეადგინეს და საექიმოებიც გაიხსნა ამ დღეებში. ბაშკიჩეტში გამგედ დაინიშნა ექიმი იასონ ბერიშვილი, ახალქალაქში გადმოყვანილ იქმნა ცხინვალის ექიმი ვაშაკიძე.

**დუშეთის ქალთა სკოლის მასწავლებელი** ბ. შერიევისა გვთხოვს დავბეჭდოთ: უღრმეს მადლობას ვუცხადებ ქნ. ვ. ციციშვილისას, რომელმაც გამართა 24 მაის კონცერტი ქალაქ დუშეთში და იმის შემოსავლიდან დაუთმო დუშეთის ქალთა სკოლას 30 მან. ღარიბი მოწაფეების სწავლის ფულის შესატანად. უამისოდ მოწაფენი იძულებულნი იქნებოდნენ „გასულიყვნენ სასწავლებლიდან“.

**მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“** მე 14 ნომერი (მცირე წლოვანთათვის). შინაარსი; „წვიმა“,—ლექსი შ. მღვიმელისა; „მტარვალები“, მოთხრობა ელოსი; „დუსი და მზე-უმზერისა“, ინგლისურით ნ. თ—სა; „სოკოზედ“, გარდინგისა, თარგმანი ან. ამილახვარისა; „კატა და ვეფხვი“, დ. ბიცაძისა; „თილისმიანი სახლი“, თარგმანი ელა ანტონოვსკისა; გასართობი:—ა) ელქანი და მისი გაკეთება,—ბ) გამოცანები,—გ) რებუსი და ალსნა

19 ივლისს, დილის $10\frac{1}{2}$ საათზედ, აბანოების ქუჩაზე რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრეს ტფ. მოქალაქე გიდარ მოლლა-მუსა-ოღლი, რომელმაც პოლიციას გამოუცხადა, რომ ჩემი დამჭრელი მამედ ასან-ალაკპერ ოღლიაო. დამჭრელი მიიმალა. დაჭრილი იმავე დღეს სავადმყოფოში გარდაიცვალა.

სოლომონის ქუჩაზე, 19 ივლისს, ღამის 11 საათზედ, უცნობმა ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა სპარსეთის ქვეშევრდომი ხათუმა პოდოსოვი. დაჭრილი მიხეილის სავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ გზაზედ გარდაიცვალა.

19 ივლისს საღამოს 5 საათზედ მტკვარში დაიხრჩო მაღაქია ისაკაძე.

ყარაიაზის ნაწილის ბოქაული თავ. დ. ს. ვაჩნაძე გადაუყვანიათ ბაქოში ბალახანის ნაწილში, ხოლო ყარაიაზის ბოქაულის თანამდებობის აღსრულება დაევალა გორის ბოქაულად ნამყოფს ოსტროვსკის.

## ქუთაისის ქრონიკა

ბაზარი გატენილია ხილით. ნესვი და საზამთრო ურიცხვი შემოდის. ხალხი მეტად ტანებს ხილს და ექიმების ცნობით ქალაქში მეტად გავრცელდა კუჭის ავადმყოფობა. უკანასკნელ ხანებში სენმა ეპიდემიური ხასიათი მიიღო და მსხვერპლნიც არიან.

სამეგრელოდან მეტად უნუგეშო ამბები მოდის. რაც დრო გადის, ხალხის გაჭირვება [illegible] არიან სოფლები, რომელნიც ტყემლის წვენით იკვებებიან. სიმინდი თითქმის ყველგან გამოილია. სასყიდელი ფულიც რომ იყოს, ზოგან საშოვარიც აღარ არის. ფასმა აქა-იქა 2 მანეთამდე აიწია. ვაჭრებმა სიმინდი ჩრდილო-კავკასიიდან გამოიწერეს და, ეჭვი არ არის, მამასისხლად დაიწყებენ ყიდვას. ნაგვიანევად დათესილი სიმინდი დროზე ვერ შეეშველება ხალხს. ნაადრად დათესილ სიმინდს კარგი პირი უჩანს, მაგრამ ნაგვიანევი სიმინდი, რომელიც მთელი ნათესობის სამ მეხუთედს შეადგენს, მოვა თუ არა—ერთმა ღმერთმა იცის. ზოგიერთ ადგილას, განსაკუთრებით მთაში, სიმინდი მიწას არ ასცილებია, მეორედ სიმინდი ეხლა ითოხნება და ბევრს იმედი აქვს დაკარგულ მოსავლისა. ყველა ამას ისიც დაურთეთ, რომ სიმინდს რაღაც ჭია გაუჩნდა, რომელიც ნორჩ მცენარეს ანადგურებს, და მაშინ მიხვდებით, რა გუნებაზე იქნება მეგრელი გლეხი.

პარკის ყიდვის სეზონი გათავდა. ვაჭრები ცუდ გუნებაზე იყვნენ, რადგან საზღვარ გარეთიდან იღებენ ცნობებს, რომ პარკის ფასი კლებულობსო. უკანასკნელ ხანებში უკეთესი ცნობები მოდის და ვაჭრებს იმედი მიეცათ, რომ არ იზარალებენ.

ზუგდიდის მაზრის უფროსს კაპიტან ზაკუსოვს მიუმართავს მიწათ-მოქმედების კავკასიის რწმუნებულისთვის, რომ ზუგდიდის მაზრაში დანიშნოს საგანგებო აგრონომი, რომელსაც ჯამაგირი მიეცემა საერო თანხიდანაო. როგორც ისმის, ბ-ნი ზაკუსოვი ცდილობს დაეხმაროს ხალხს, მაგრამ ავიწყდება ის ჭეშმარიტება, რომ პალიატივებით ხალხის გაჭირვებას მალამო არ დაედება. როცა ხალხს ერთი ხელით აწვდი და მეორეთი ართმევ, შეუძლებელი საქმეა იმის ფეხზე დაყენება.

ბოქაულ მიქიაშვილის თავ-დასხმის დროს მოკლული სტრაჟნიკი დიდის ამბით დაუმარხავთ ლანჩხუთში. პოლიციას დაუბარებია ცხრა სოფლის მკვიდრნი. ხალხი ძალა-უნებურად გამოცხადებულა და დასასრულ გაუგია, რომ თითო კომლი თითო მანეთით არის დაჯარიმებული.

17 ივლისს, საღამოს პირად, სალორიის ტყეში ქალაქის მახლობლად აღმოაჩინეს გვამი მიხეილ შველიძისა. ჯერ გამორკვეული არ არის, მოკლულია შველიძე თუ თავი თითონ მოიკლა.

---

# ფელეტონი

სოციალიზმი და ეროვნული საკითხი.

ხ. ჟიტლოვსკისა.

**ავტორის წინასიტყვაობა.**

ეს შრომა პირველად დაიბეჭდა გერმანულად ენგელბერტ პერნერსტორფერის ჟურნალ „Deutehe Worte“-ში და მერე ცალკე გამოიცა არა გასასყიდად, არამედ საგიტაციო აზრით ავსტრიის ამხანაგებს შორის ბრიუნის კრების მოლოდინში, როცა ეროვნულ საკითხზე უნდა ჰქონოდა ს.-დემოკრატიულ პარტიას სჯა-ბაასი. კრების რეზოლიუცია ამ საკითხის შესახებ სავსებით ეთანხმებოდა იმ თეორიულ მოსაზრებას, რომელიც ამ შრომაში იყო გატარებული. იგივე თეორიული მოსაზრებანი საფუძვლად დაედო იმ სიტყვიერ აგიტაციას ებრაელთა დამოუკიდებელ სოციალიზმის შესახებ, რომელსაც ავტორი სწევდა ებრაელთა მოსწავლე ახალგაზდობაში შვეიცარიაში 1889 წლიდან დაწყებული.

ბეჭდვითი სიტყვით ავტორმა ეროვნულ კითხვის და ებრაელთა სოციალიზმის შესახებ ორ-სამ შრომაში გამოსთქვა თავისი აზრი და ისიც არა სავსებით. სამწუხაროდ, არც ეს ზოგად-თეორიული ხასიათის შრომა არის ისეთის თვისებისა, რომ საკითხი სავსებით გაარკვიოს. განსაკუთრებული მიზანი, რომლისთვისაც იგი იწერებოდა, ნებას არ გვაძლევდა გაგვერკვია ბევრი თეორიული საკითხი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნების სოციალისტურ თეორიასთან, და ამასთან უფრო დაწვრილებითი ანალიზი გვექნა იმ კონკრეტულ საკითხებისა, რომელიც დაკავშირებულია ცალკე ეროვნებათა ბრძოლასთან ეროვნულ დამოუკიდებლობის მიმართ. უფრო ნაკლებად შეგვეძლო გამოკვლევა ებრაელთა ეროვნულ აღორძინების საკითხისა და დაფასება იმ მონაწილეობისა, რომელიც უნდა მიეღო ამ აღორძინებაში ებრაელ პროლეტარიატს და ებრაელთა სოციალისტურ ინტელიგენციას.

მიუხედავად ასეთის ნაკლულოვანებისა, ავტორმა მეტად არ დაინახა თავისი შრომა გაეცნო რუსულის მცოდნე ამხანაგებისათვის **თითქმის** იმ სახით, როგორითაც იგი გერმანულს ენაზე გამოვიდა. ჩვენ ვთქვით „თითქმის“ იმიტომ, რომ რუსულს გამოცემაში არ შეგვეძლო არ შეგვეტანა ის ცვლილებანი, რომელიც გამოწვეულია იმ სურვილით, რომ ზოგადათ მაინც გაგვეთვალისწინებინა დამოკიდებულება თეორიულ მოსაზრებათა ებრაელ ხალხის ბედ-იღბალთან.

ჩვენ ვწუხართ, რომ დრო ნებას არ გვაძლევს რუსულ გამოცემაში ის დამატება მაინც შეგვეტანა, რომელიც **ტერიტორიას** ეხება და რომლის შესახებ ჩვენი წინანდელი რწმენა ძირიანად შეიცვალა. წინად თუ იმ აზრის მომხრე ვიყავით, რომ განსაკუთრებული ტერიტორია სასურველი და არა სავალდებულოა ხალხის ცხოვრების ნორმალურ განვითარებისთვის, მერე, როცა უფრო გულ-დასმით განვიხილავთ საკითხის pro და contra, იძულებულნი შევიქენით დავთანხმებოდით ეროვნულ საკითხის იმ თეორეტიკოსებს, რომელნიც ცალკე ტერიტორიაში ხედავენ conditio sine qua საფუძველს ყოველ ხალხოსნობის შეურყეველ და დამოუკიდებელ განვითარების გზას.

ავტორის საბედნიეროდ, ასეთი შეცვლა მის თეორიულ შეხედულობით, არ ეწინააღმდეგება მთელ სისტემას იმის რწმენისას და წინააღმდეგ, საქმის უფრო დაკვირვებით განხილვა, აშკარად ხდის იმას, რომ იგი გამომდინარეობს სოციალისტურ ინტერნაციონალიზმის თეორიიდან. რომლის დასაბუთება ამ შრომით გვინდა.

---

ყოველი საზოგადოებრივი საკითხი ღებულობს განსხვავებულს აზრს და განსხვავებულ დაბოლოვებას თხოულობს იმის დაგვარად, თუ რომელი საზოგადოებრივი ჯგუფი აყენებს მას და რა ინტერესებს მიესწრაფის იგი.

ეროვნული საკითხი ამ მხრით სხვებისაგან არ განირჩევა. ვიდრე პოლიტიკური პარტიები და საერთაშორისო დიპლომატია წამოაყენებდნენ ეროვნულ საკითხს, იგი არსებობდა ვითარცა ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობის საკითხი ამ ქვეყნებში, სადაც რამდენიმე ეროვნება იყო ერთმანეთში არეული. როცა ბიუროკრატიული მექანიზმი ევროპის ბევრ ქვეყნისა მიისწრაფოდა იმ მიზნისაკენ, რომ ყველგან შაბლონით ემოქმედნა, წინ ეღობებოდა ხშირად ამა თუ იმ ოლქის ეთნიური განსხვავება, და ამ ფაქტისთვის ანგარიში უნდა გაეწია. ბიუროკრატიისთვის აღიძრა ეროვნული საკითხი, რომელიც ამაში გამოიხატებოდა: შესაძლებელია თუ არა ისე მოეწყოს ბიუროკრატიული მექანიზმი „უსიამოვნო ინოროდცების“ მიმართ, რომ ამით არ დაშავდეს უმთავრესი თვისებანი ბიუროკრატიულ რეჟიმისა?

იმის და-გვარად, თუ რამდენად განვითარებული იყო პოლიტიკურად ან კულტურულად ის ერი, რომელსაც საქმე ეხებოდა, სახელმწიფო სხვა და სხვა საშუალებას ხმარობდა „ეროვნულ საკითხის“ გადასაწყვეტად, ხოლო მიზანი მუდამ ერთი და იგივე იყო: ერთის მხრით უნდა დაცულიყო შეუხებლობა ადმინისტრატიულ ზედგავლენისა ცხოვრების ყველა მხარეზე, ხოლო მეორეს მხრით ისეთ სასტიკ ზომებისთვის არ უნდა მიემართნათ, რომ წინააღმდეგობა და ბრძოლა გამოეწვიათ უცხო ერებში.

რა თქმა უნდა ბიუროკრატია იმას ესწრაფოდა, რომ ახლო თუ შორს მომავალში ეროვნებანი გათქვეფილიყვნენ გაბატონებულ ერში და ამით ბოლო მოჰღებოდა განხეთქილებას და უსიამოვნებას. სულ სხვა აზრი აქვს ეროვნულ საკითხს იმ თანამედროვე პროგრესიულ პარტიებისათვის, რომელთაც აზრადა აქვთ, მიიზიდონ ხალხის დიდი ნაწილი კულტურისაკენ და მონაწილე გახადონ იმ საკითხთა გადაწყვეტაში, რომელიც წამოაყენა ცხოვრების განვითარებამ. აქ საქმე იმას-კი არ ეხება, როგორ უნდა ვანაწილდნენ ცალ-ცალკე ოლქები, ან როგორი ადმინისტრატიული ზომები უფრო გამოადგებათ ამ ოლქებს. არამედ იმას, რომ მიეცეს ყოველს ერს, რაც უნდა მცირე რიცხოვანი იყოს იგი, დამოუკიდებელი პოლიტიკურ და კულტურულ არსებობის უფლება ისე, რომ მან კაცობრიობის სრულსა და თანდათანობით პროგრესს ხელი არ შეუშალოს.

რამდენადაც-კი ძალა მეგვწევს, ამ საკითხს განვიხილავთ ამ შრომაში.

---

ეროვნებათა დამოუკიდებელ ან და კულტურულ არსებობის უფლებას არსებითი ადგილი ეჭირა მეცხრამეტე საუკუნის ეროვნებათა მოძრაობაში, ამასთან ამ საკითხის თეორეტიულად შემუშავებამ მდიდარი ლიტერატურაც გამოიწვია. თეორეტიკოსთა უმრავლესობა გაიყო ორ ბანაკად: კოსმოპოლიტიზმის მოძრეებად, რომელნიც არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდნენ კულტურულ-პროგრესიულ განვითარებაში ეროვნულ საკითხს, და ეროვნულ პრინციპის მომხრეებად, რომელნიც ამ ნაირადვე უარს ჰყოფდნენ კაცობრიობის მნიშვნელობას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მეცხრამეტე საუკუნის მოძრაობაში თავი იჩინა ორმა ერთი მეორის წინააღმდეგმა მიმდინარეობამ და ორივე ეროვნულ მოძრაობის სახელს ატარებდა. ერთ მიმდინარეობას, მაგალითად, პანსლავისტურ პანგერმანისტულს აზრად ჰქონდა გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ მონათესავე ხალხებისა. მეორე მიმდინარეობა, როგორც, მაგალითად, პოლონურს რუსეთში, ახალკელტურს ინგლისში, ახალ პროვანსალურს საფრანგეთში და რუსინულს ავსტრიის პოლონეთში, იყო და არის სულ წინააღმდეგის მისწრაფებით გაჟღენთილი—დაიცვას ყოველ ცალკე ეროვნების ავტონომია და უზრუნველ ჰყოს იმ უფრო დიდ ერებისაგან, რომელნიც მუდამ ესწრაფიან შთანთქან ისინი.

რაღა ლაპარაკი უნდა, თეორიტიული დასაბუთება ამ ორ ერთმანეთის წინააღმდეგ ეროვნულ „მოძრაობისა“ სხვა და სხვა მოსაზრებაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. ეროვნებათა ავტონომისტურ მოძრაობის მომხრეთ იმ „ერთა“ წინააღმდეგ, რომელნიც სხვა ერის ჩაყლაპას ლამობდნენ, იგივე მოსაზრებანი მოჰყავდათ, რითაც ძლიერი ერები ებრძოდნენ კოსმოპოლიტიზმს, ხოლო პანნაციონალისტური თეორია ავტონომიურ მოძრა-

ჯერ-ჯერობით ასეთი ცნობებია ჩვენ ხელთ: უკანასკნელ ხანებში მ. შველიძე თურმე უგუნებოდ იყო და ნაცნობთა დახმარებით სცდილობდა ქუთაისიდან გადასულიყო სადმე. წარსულ შაბათს შველიძე თავის უფროსს დასთხოვნია რამდენისამე დღით და კვირა საღამოს ეტლით სალორიისაკენ წასულა, რკინის გზის ლიანდაგთან გადმოსულა და ტყეში შესულა. რა მოხდა იქ, არავინ იცის, ოღონდ როცა მიცვალებული უნახავთ, გული ტყვიით ჰქონია გაგმირული და მკვლელობის ადგილს არც რევოლვერი უნახავთ და არც სხვა რამე. მ. შველიძე კარგა ხანია ქუთათურ ქართულ სცენაზე მოღვაწეობდა და ზოგიერთ როლს ხელოვნურად ასრულებდა.

✦ გუბერნატორმა ნება დართო რაჭის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, მოიწვიოს საგანგებო კრება რაჭის თავად-აზნაურობისა ონში. კრება განიხილავს საკითხს ონში სამოქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

# პრესსა

მენშიკოვი მწარედ დასტირის კორეას და თან რუსეთსაც აფრთხილებს. რუსეთს არ ეკადრება პატარა კორეასთან შედარებაო, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ დიდი სახელმწიფოებიც დაღუპულან დაუდევრობისაგან, როგორც, მაგალითად, დიდი ბიზანტიაო.

მართლაც, ჩვენ დავივიწყეთ საბერძნეთის იმპერიის ბედი და აი კიდეც ჩავარდით საშინელებაში, როგორშიაც არასოდეს არ ვყოფილვართ. არა თუ სამარცხვინოთ დაგვამარცხეს, არამედ ყოველი პატივისცემაც დაგვაკარგვინეს ერთა შორის. არა-თუ ჩვენი მტრები, მეგობრებიც-კი, როგორც საფრანგეთია, მედიდურად უარჰყოფენ ჩვენთან კავშირს ან შეთანხმებას... დავუძლურდით, განადგურების გზას ვადგივართ და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენც კორეას საქმეს დაგვმართებენ!

ასე გოდებს მენშიკოვი და აფრთხილებს რუსეთს... ზოგ მკითხველს ეგონება, რომ მენშიკოვი შესაფერისს რეცეპტსაც უწერს მძიმე ავადმყოფს, რომ ურჩევს განახლების, აღორძინების, პროგრესის გზაზე დადგომასო. სრულებითაც არა. მენშიკოვმა ვითომც არ იცის, რომ სახელმწიფოს ძლიერება და ძლევა-მოსილება მჭიდროდ არის შეკავშირებული შინაურ მდგომარეობასთან, შინაურ სიძლიერესთანა და კეთილდღეობასთან; იგი ამებს ყურს არ ათხოვებს და მოითხოვს ...ჯარების გაძლიერებას. ასეთი მრჩევლები ჰყავს დღეს რუსეთის მთავრობას და კიდევაც უგონებენ...

* * *

მინისტრად ნამყოფი ა. ს. ერმოლოვი განაგრძობს პუბლიცისტურს მოღვაწეობას. ჩვენ გავაცანით მკითხველთ მისი პირველი წერილი; ახლა „ნოვ. ვრ.“-ში დაბეჭდილია მეორე ნაწარმოებიც წარჩინებულ პუბლიცისტისა. ამაშიაც იმეორებს, პარტიები არაა საჭიროო და არც პროგრამებიო. უნდა შესდგეს მხოლოდ ერთი პარტია „სრულიად რუსეთის დიდი პარტია“, რომლის პროგრამა უნდა იყოს:

დიდება, ძლიერება და ძლევამოსილება რუსეთისა; თავისუფლება, კეთილდღეობა და ხელუხლებლობა რუსეთის სახელმწიფოს ერთგულ მოქალაქეთათვის განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რამდენადაც ეს თავისუფლება და ხელუხლებლობა შეეფერება რუსის ხალხის ინტერესებს და მავნებელი არაა სახელმწიფოსათვის.

თავისუფლება და კეთილდღეობა **ერთგულ** ქვეშევრდომთათვის და ისიც იმდენად, რამდენადაც ეს თავისუფლება „მავნებელი“ არაა სახელმწიფოსათვის... აი ბიუროკრატიის მთელი იდეალი! ამათ უნდა იხსნან რუსეთი მძიმე კრიზისისაგან?...

* * *

ზოგიერთი გაზეთები „სლოვო“ და „პეტერბურგერ ცაიტუნგ“-ი ძალიან დაუშინებია იმ გარემოებას, რომ პროვინციაში ოქტომბრისტების პარტია და „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი ერთად მოქმედებენ.

რა ამბავია ეს, გაკვირვებულია „პეტ. ც.“— ჭეშმარიტი რუსები ხომ კონსტიტუციის გაუქმების ქადაგობენ ახდილად? ოქტომბრისტები კი კონსტიტუციას იცავენ. მაშ, რას მოასწავებს მათი შეერთება?

თავის მხრით „სლოვო“ შენიშნავს:

არა ბუნებრივი კავშირი ოქტომბრისტებისა და „ჭეშმარიტ რუსთა“ კარგს არაფერს მოასწავებს. ოქტომბრისტებს ავიწყდებათ, რომ რეაქციონერთა გაძლიერება დღეს, მომასწავებელია 17 ოქტომბრის აქტის გაუქმებისა...

რუსის ლიბერალები წინანდელ ავგურობას უბრუნდებიან: კარკად ხედავენ, რომ „17 ოქტომბრის აქტი“ უკვე გაუქმებულია ფაქტიურად, მაგრამ თავს იკატუნებენ და ვითომ ვისიმე მოტყუება სურთ—საიმისო არაფერი მომხდარაო. ოქტომბრისტების და ჭეშმარიტ რუსთა კავშირი დღევანდელს პოლიტიკურს პირობებში სრულიად ბუნებრივი და კანონიერია. ორთავემ კარგად იციან, საით მიაქანებს რუსეთის მთავრობა დაქანცულსა და დატანჯულს ქვეყანას...

# პროვინციის ცხოვრება

**ფოთი.** როგორც მოსალოდნელი იყო, 15 ივლისს ფოთსაც ეწვივნენ ქართველი სპარსელები—ონიკაშვილი და ხუციშვილი. საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგება. ლექცია გაიმართა ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში 12 საათზე და გაგრძელდა 2 საათამდე. ხალხი ბლომად დაესწრო; გამგეობის დარბაზში ტევა აღარ იყო. გულ ამაჩუყებელი სიტყვა წარმოსთქვა ონიკაშვილმა. თითეული მისი სიტყვა მსმენელს ცრემლებს ჰგვრიდა. როცა იმან დაასურათხატა ერთ მოხუც ბრმა სპარსელ ქართველის ნატვრა, ზოგიერთმა ქვითინი მორთეს. ერთხელ წარმოსთქვა მან: შეიკრიბა ამ მოხუცთან რამდენიმე ყმაწვილი. ჰკითხეს: „ბაბუ, რას ინატრებო?“ მოხუცმა უპასუხა: არაფერს, გარდა იმისა, თვალები ამხილებოდეს და ერთი ჩემი მამა-პაპათაგან ნაანდერძევი საქართველო მაჩვენაო“. გაათავა თუ არა ონიკაშვილმა ლექცია, საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა. სამ საათზე სტუმრებს სადილი გაუმართეს. ბ-ნმა ბარკალაიამ სთხოვა სტუმრებს, სოხუმსაც სწვეოდნენ. აქედან ექსკურსანტები 16 ივლისს ბორჯომისკენ გაემართნენ.

**მეძგარი.**

—

**ოზურგეთი** (გურია). 17 ივლისს, როდესაც აცანაში მოკლულ სტურუას მოასვენებდნენ, მას, პოლიციის ბრძანებით, მიჰყვებოდა საზოგადოება. როდესაც პროცესია ს. ჯუმათის კანცელარიაზე ამოვიდა, ინგუშებმა დააპატიმრეს სამი კაცი—მამასახლისი, მასწავლებელი და ნაცვალი. ცხედარი წინ გაისტუმრეს. მამასახლისიც გაანთავისუფლეს, მხოლოდ ორი კაცი და ინგუშები უკან ჩამორჩნენ. გავიდა ცოტა ხანი და მოვიდა თოფის ხმა. მოკლულნი აღმოჩნდნენ მასწავლებელი ხუხუნაიშვილი და ნაცვალი ბილიხოძე. როგორც ამბობენ, ინგუშებს განუცხადებიათ, ტერორისტები დაგვხვდნენო. როდესაც ხალხი უკან დაბრუნდა, ეს ორი მოკლული კაცი ნახა. იმ დამეს იქიდან ჯარი წავიდა. მკვდარი სტრაჟნიკი აქ ამოიტანეს. დანჩხუთის საზოგადოებაც თან ამოაყოლეს.

**ბუქსა.**

# რუსეთი

✦ **98 მუშის წერილი.** ამას წინად ლოძში პოზნანსკის ქარხნის მუშები მეფაბრიკეთა კავშირის ბრძანებით იძულებული იყვნენ წილის ყრით დაეთხოვათ 98 მუშა. სიმშილმა და გაჭირვებამ უსაქმოდ დარჩენილი მუშები იქამდის გაამწარა, რომ მათ დასამცირებელი წერილი მისწერეს ქარხნების პატრონთა კავშირს. მუშები სწერენ, რომ ლოკაუტის მიერ გამოწვეულ საშინელ ბრძოლაში ყველაზე ცუდად და უსამართლოდ ისინი დაისაჯნენ, რადგან მუშებმა და მექარხნეებმა ლოკაუტი გაათავეს, ისინი კი მაინც უსაქმოდ და ულუკმაპუროდ დარჩნენ. მუშები იხვეწებიან, შემოგვწირეთ რამე, რომ ლოძიდა გავიდეთ და სხვაგან მოვძებნოთ სამუშაოო. გეხვეწებით—ასე თავდება წერილი,—შედით ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობაში, შეიბრალეთ უმიზეზოდ დასჯილნი და დაუმტკიცეთ ყველას, რომ სინდისი წმიდა გაქვთ და გული მგრძნობიარე. ჩვენ გვჭირია შველა, სათნოება, შებრალება!“

რა ყოფაში უნდა ჩავარდეს კაცი, რომ ასეთი წერილი მისწეროს იმ მექარხნეთ, რომელთაც წინა დღით გამწარებული ებრძოდა.

✦ **დაპატიმრება.** ერთი კვირის განმავლობაში ვარშავაში დაუპატიმრებიათ 144 კაცი. აქედან პოლ. სოც. პარტიის წევრი ყოფილა 44, ბუნდისტი, სოც.-დემ. და სიონისტი—20, ანარქისტი-კომ. — 13, სამხედრო-სარევოლიუციო ორგან.—18, მცარცველი 9 და ერთიც შანტაჟისტი.

✦ **სამხედრო სასამართლო.** ამას წინად ვარშავის გენ. გუბერნატორმა სამხედრო სასამართლოში მისცა 200 კაცი. აქედან 67 წევრია პოლ. სოც. პარტიისა, რომელთაც ტერრორისტობა ბრალდებათ, 59 წევრია იმავე პარტიისა, რომელნიც კონფერენციაზე დააპატიმრეს და 74 სოც. დემოკრატია.

✦ **თავის მოკვლა.** მოსკოვის საპატიმროში 13 ივლისს თავი მოიკლა პატიმარმა ბერეზიაგინმა, რომელსაც წინა დღით სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა იმის გამო, რომ მან საპატიმროს უფროსის მოკვლა განიზრახა. ბერეზიაგინმა გალესილ ჩაის კოვზით გამოიჭრა ყელი.

✦ **ებრაელთა გადასახლება.** რუსეთიდან გადასახლებულ ებრაელთა რიცხვი წლითი-წლობით მატულობს. 1898 წელს, რუსეთიდან ამერიკაში გადასახლდა 24000, 1899, 1900 და 1901 წლებში 115000, 1902 წელს—47000, 1903 წელს—77500, 1904 წ. 100000-ზე მეტი, 1905 წ. 150000-მდე, 1906 წელს კი 200000-ზე გაცილებით მეტი. აფრიკასა, ინგლისსა, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში გადასახლებულნიც რომ ვიანგარიშოთ, საერთო რიცხვი რუსეთიდან გადასახლებულ ებრაელებისა უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში ერთ მილიონზე გაცილებით მეტი უნდა იყოს. წელიწადში 1000 ებრაელზე რუსეთში იბადებოდა 13—14 კაცი, ხოლო აქედან მიდის 33.

# სასამართლო

**ურიადნიკი მგელაძე და ყუმბარები.**

ქუთაისის საპყრობილეში მყოფ ტუსაღს, ოზურგეთის მაზრის ს. მაკვანეთის მცხოვრებს, ალფეს ივანეს ძე თოიძეს 18 ივლისს ჩაბარდა საბრალმდებლო ოქმი კავკასიის საოლქო-სამხედრო სასამართლოს მიერ. თოიძეს ბრალდება ოზურგეთის სტრაჟის ურიადნიკის ცნობილ დიმიტრი მგელაძის მოკვლ[illegible].

საქმე ასე ყოფილა; 1906 წ. 23 ივნისს საღამოს დიმიტრი მგელაძე [illegible] ენიკ დურსუნ კეკიოღლის თანხლებით ბათუმში ჩასულა და იქ «პეტერბურგის» სასტუმროში დაბინავებულა. 26 ივნის, დილის 6 საათზე, მგელაძე სასტუმროდან სადგურისკენ წასულა ოზურგეთისაკენ გასამგზავრებლად. როცა მიახლოვებია შერემეტიევის ქუჩის მოსახვევს, მგელაძისათვის ყუმბარა უსროლიათ. თანახმად მგელაძის ჩვენებისა, სანამ ყუმბარა ძირს დაეცემოდა, მგელაძემ ხელით დაიჭირა და სროლით გამოუდგა უცნობს. მალე მეორე ყუმბარაც ესროლეს მგელაძეს. არც ერთი არ აფეთქდა. მგელაძემ ყუმბარები სადგურზე მიიტანა და გადასცა იქ მყოფ ჟანდარმებს. მატარებლის დაძვრის დროს მგელაძე სადგურის ბაქანზედ გამოვიდა და ხელი დაადო იქვე მყოფს ალფეს თოიძეს, რომელიც რაღაც საკუთარ საქმისთვის გამოსულიყო. თოიძე იქვე შეიპყრეს. იმისი საქმე გადაეცა განსახილველად ტფ. სამოსამართლო პალატას. საქმე სამჯერ დაინიშნა პალატის მიერ განსახილველად ორჯელ ბათუმში, ერთხელაც ქუთაისში, მაგრამ არც ერთხელ არ გამოცხადდა მოჩივანი მგელაძე.

15 ივნის პალატამ გამოუცხადა თოიძეს: ეს საქმე გადავეცით ქუთაისის ოლქის სასამართლოსაო. 18 ივლისს კი ოქმი ჩაჰბარდა თოიძეს კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლოს მხრით; ბრალსა სდებენ სისხლის სამართლის წესდების მალით. №

## დაუვიწყარ ამხანაგის ვარლამის ხსოვნას!

15 ივლისს ქუთაისში დავკარგეთ საუკეთესო ამხანაგი ვარლამი. ვარლამი 18—19 წლის ახალგაზდა იყო. იგი თავგამოდებით ებრძოდა დღევანდელ უსამართლო ცხოვრებას. ეს პატიოსანი მუშაკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მუშაობდა ს. რ—ების პარტიაში და მხნედ და ბეჯითად ემსახურებოდა მშრომელ ხალხის ინტერესებს. მაგრამ, საუბედუროდ, აღარ დასცალდა ვარლამს მშრომელ ხალხის სამსახური და 15 ივლისს უდროვოდ გამოგვტაცეს ხელიდან დღევანდელ წყობილების მოთარეშე დაქიებმა. ვარლამი დავკარგეთ უდროოდ, მაგრამ იმისი ხსოვნა მშრომელ ხალხის გულში დაუვიწყარი იქნება. რასაც ის ემსახურებოდა და რაზედაც თავი ჰქონდა შეწირული, იმას განაგრძობს ამხანაგები.

განისვენე პატიოსანო გვამო! მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო ვარლამ!

**ამხანაგი მუშა პრ—ფი.**

---

ობის წინააღმდეგ იმ საფუძველზე ემყარებოდა, რომლის საშუალებითაც კოსმოპოლიტიზმი ამტკიცებდა ეროვნულ პრინციპის არარაობას.

კოსმოპოლიტისთვის არ არსებობენ გერმანელები, ფრანგები, სლავიანები,—მან იცის მხოლოდ კაცობრიობა. რა-კი ამ ნიადაგს დაიჭერს, პანნაციონალისტისთვის არ არსებობენ პოლონელები, რუსები, ჩეხები, ბავარელები, პრუსიელები—მისთვის ისინი ან სლავიანელები არიან ან გერმანელები. მეორეს მხრით პანნაციონალისტს კაცობრიობა უბრალო განყენებულ საგნად, აბსტრაქციად მიაჩნია, ვინაიდან, ამბობს იგი, არსებობენ განსაზღვრული ეროვნებანი: სლავიანელები, გერმანელები და სხვანი. ამ ნაირადვე „სეპარატისტს“ სლავიანელები, გერმანელები აბსტრაქციად მიაჩნია, ვინაიდან ნამდვილად არსებობენ ეროვნებანი: რუსებისა, პოლონელებისა, ჩეხებისა, პრუსიელებისა, ბავარელებისა და სხვ.

„კაცობრიობა არ არის, არსებობენ მხოლოდ „ერები“, ამბობს პანნაციონალისტი“.

„ერები არ არიან, არსებობენ მხოლოდ თემები“ (Народность), ამბობს სეპარატისტი.

„თემები შემთხვევითი გადაგვარებაა ერისა და მოსპობის გზას ადგიან“, უპასუხებს ნაციონალისტი.

„ერები და თემები შემთხვევითი გადაგვარებაა **კაცობრიობისა** და მოსპობის გზას ადგიან“, ყველაზე მაღლა გაიძახის კოსმოპოლიტი.

ამ ნაირად, როცა ეროვნულ საკითხზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ორ აზრთანა გვაქს საქმე: კოსმოპოლიტიზმთან, რომელიც კაცობრიობის ერთიანობას აღიარებს, და იმედოვნებს, რომ ხალხები გაერთიანდებიან, და სეპარატიზმთან, რომელიც ანგარიშს უწევს ცალკე ერთა არსებობას და მათ დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის იბრძვის. პანნაციონალისტური თეორია, რომელსაც შუა ადგილი უჭირავს, ნამდვილად მათი სინტეზი არ არის და როგორც ყოველი საშუალო თეორია, ღამურას როლს თამაშობს თაგვთა და ფრინველთა ომში. ნამდვილი სინტეზი ამ ორი ერთი მეორის წინააღმდეგე დასაბამისა **საერთაშორისო** პრინციპია, რომელიც აღიარებულია თანამედროვე სოციალიზმისაგან.

სამწუხაროდ, დიდ ხანს ამ პრინციპს კოსმოპოლიტიზმისაგან ვერ არჩევდნენ. არა მოწინააღმდეგენი ამ პრინციპისა, არამედ ოფიციალური დამცველნიც-კი მას ნაციონალიზმს უპირდაპირებდნენ იმ დროს, როცა მეორე მხარე—მისი დაპირდაპირება კოსმოპოლიტიზმთან,—ყველას ავიწყდებოდა ან ჩრდილში რჩებოდა.

სოციალისტურ ბანაკში საქმემ სულ სხვა სახე მიიღო. უკანასკნელ ხანებში უფრო ხშირად და დაჟინებით გაისმის ხმები იმის სასარგებლოდ, რომ აღიარებულ იქნას სამართლიანი მოთხოვნილებანი ეროვნულ პრინციპისა და მისი შეთანხმება საზოგადოებრივ ცხოვრების პროგრესიულ მოთხოვნილებასთან. სოდასავლეთ ევროპის ციალისტურ პრესსაში ხშირად გესმის ის აზრი, რომ ნაციონალიზმი და სოციალისტური იდეალი სრულებით არ არიან შეურიგებელ იდეურ ანტოგონიზმში, პირიქით, განსაზღვრულ პირობების დროს მათ შეუძლიანთ და ვალდებულნიც არიან ერთმანეთს დახმარება გაუწიონ. ძნელი არ არის გერმანულ „Vorwärts“-დან, ავსტრიულ „Arbeitergcitung’“-იდან და იტალიურ „Critica sociale’“-იდან ამოვწეროთ სოციალისტურ მოძრაობის მცოდნე თეორიტიკოსებისა და პრაქტიკოსების სტატიებიდან ისეთი ადგილები, რომლებიც ცხად ჰყოფენ იმ გარემოებას, რომ სოციალისტურ პარტიების ტაქტიკა ეროვნულ საკითხის შესახებ საგრძნობლად შეიცვალა ეროვნულ საკითხის სასარგებლოდ. მოვიყვანთ მარტო ვენის სოციალ-დემოკრატიულ პარტეიტაგზე ე. პერნერსტორფერის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, რომელსაც ავსტრიის ს.-დემოკრატიულ პარტიის დელეგატები ალტაცებით შეჰხვდნენ: „თორმეტის წლის წინად, სთქვა მან, სოციალ-დემოკრატია გაჟღენთილი იყო აბსტრაქტულ და უსიცოცხლო ინტერნაციონალიზმით, ეხლა იგი სდგას რეალისტურ ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე... ეროვნებანი უნდა წარმოადგენდნენ აყვავებულ ბაღს, რომლის ყვავილთა ფერადება თვალს უნდა ასიამოვნებდეს... მჯერა, მალე გაიმარჯვებს ის რწმენა, რომ შეიძლება იყო კარგი გერმანელი, დიდებული იტალიელი, კეთილი სლავიანელი და ამავე დროს გატაცებული მომხრე ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიისა“ *).

პერნერსტორფერის მიერ გამოთქმული იმედი, ეჭვი არ არის, მალე განხორციელდება. მიუხედავად ამისა, სოციალისტურ პარტიებში ხშირად შეხვდებით ისეთ კაცებს, რომელნიც ახალ ტაქტიკაში ეროვნულ საკითხის მიმართ ხედავენ არა გულწრფელ კომპრომისს ავ სინამდვილესთან, ე. ი. კომპრომისს, რომელიც ინტერნაციონალიზმის საფუძველს ეწინააღმდეგება ამა თუ იმ დროებით გამარჯვებისათვის.

ასეთი შეხედულობა ახალ ტაქტიკაზე ჩვენ დიდ შეცდომად მიგვაჩნია. **ინტერნაციონალიზმი, თავის მოძღვრების არსებით, ერთნაირად ეწინააღმდეგება როგორც ნაციონალიზმს, ისე კოსმოპოლიტიზმს.** კოსმოპოლიტიზმის იდეალს წარმოადგენს **განურჩევლად ყველა ეროვნების მოსპობა;** მომავალი კაცობრიობა მას წარმოდგენილი აქვს, ვითაარცა კონგლომერატი ცალ-ცალკე ინდივიდუმებისა, იმ დროს, როცა საერთაშორისო პრინციპი დამყარებულია ხალხთა ძმობაზე, საიდგანაც სრულებით ის არ გამომდინარეობს, რომ ერთი ძმა მეორეს ისე უნდა ჰგავდეს, როგორც წყლის ერთი წვეთი—მეორეს. გარდა ამისა ინტერნაციონალიზმს და ნაციონალიზმს ერთი და იგივე ძირითადი პრინციპი აქვთ—ხალხთა უფლება თვითგამორკვევაზე. განსხვავება და დიდი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ნაციონალიზმი ყოველ ერს უყურებს, როგორც დამოუკიდებელ, განკერძოებულ ერთეულს, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედობს. თავისი დამოკიდებულება სხვა ხალხებთან ყოველ ხალხს ისე შეუძლიან მოაწყოს, როგორც მოითხოვს იმისი ნება და ინტერესები. ომი და ზავი დამოკიდებულია თვით ხალხის უზენაეს გადაწყვეტილებაზე. ეს იგივე თვლთა ხედვის ისარია, რასაც ესწრაფის „laisser faire, laisser aller“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ინდივიდუმიიდან გადატანილია ერთა შორის დამოკიდებულებაზე. შედეგი ასეთ შეხედულობისა მიემზგავსება laisse aller’“-ს შედეგს საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ფაქტიური გაბატონება ძლიერისა სუსტზე და სრული თვითნებობა საერთა-შორისო დამოკიდებულებაში, გაზომიერებული პირდაპირის ეგოისტურ სარგებლობით.

სულ სხვანაირად უყურებს საქმეს ინტერნაციონალიზმი. იმისთვის კაცობრიობა ცალკე ინდივიდუუმების კონგლომერატს-კი არ წარმოადგენს ან მექანიკურად გადარეულს ერთმანეთთან დამოკიდებულს ერებს, არამედ **ერთ ძმურ** ოჯახს, სადაც ყოველი ხალხი სრულუფლებიანი წევრია ოჯახისა, სადაც ერთის ინტერესი სრულიად ეთანხმება სხვებისას, სადაც ერთის უფლება მეორისას არ არღვევს. იგი არა თუ სპობს, პირიქით გულისხმობს, რომ ცალ-ცალკე პიროვნებათ, რომელნიც ერს შეადგენენ, ის შეგნება უნდა ჰქონდეთ, რომ ისინი ეკუთვნიან ერს და ეროვნულად განსხვავდებიან სხვა ერთაგან.

ასეთი განმარტება ინტერნაციონალიზმისა სრულებით არ გამომდინარეობს იმ ოპორტუნისტურ მოთხოვნილებით, რომ გაბატონებულ გარემოებებს ანგარიში გავუწიოთ. ეს განმარტება წარმოადგენს ჭეშმარიტ აზრს ინტერნაციონალიზმისას. ამას გვარწმუნებს ის ფაქტი, რომ შესანიშნავს „საერთაშორისო მუშათა ასოციაციას“, ესრედ წოდებულს „ინტერნაციონალს“, რომლის კომპეტენციაში ინტერნაციონალიზმის საქმეებში ეჭვს ვერავინ შეიტანს, საერთაშორისო ძირითადი პრინციპი ესმოდა ისე, როგორც სინტეზი ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმისა.

რადგან ამ პირველ დიდ საერთაშორისო პარტიის დამოკიდებულებას ეროვნულ საკითხთან დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, აზრადა გვაქვს უფრო დაწვრილებით განვიხილოთ იგი.

**პ. კორძოხელი.**

(შემდეგი იქნება)

*) „Vorwarts“ 1897, № 139.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**(პასუხი ბ-ნ ფ. მახარაძის გმელ პასუხზე.)**

ბ-ნ ფ. მახარაძეს წაუკითხნია გაზეთ „ისრის“ მე-137 ნომერში მოთავსებული ჩემი მისდამი შეკითხვა იმ 240 მანეთის ბედის შესახებ, რომელიც გადავეცი იმას ქართლელებისა და გურულებისათვის გასაგზავნად (და არა ქართლელებისა და გურულების გასაგზავნად, როგორც ბ-ნი მახარაძე ამბობს თავის წერილში, რადგან მე აზრად არა მქონია გამეგზავნა სადმე ქართლელები და გურულები ამ ფულის საშუალებით) და აღმოუჩენია შიგ „ორი ტყუილი,“ რასაც „საქმისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა“ ჰქონია. იმის ნაცვლად, რომ ბ-ნ მახარაძეს მოკლე და მარტივი პასუხი მოეცა ჩემთვის, გამოჰკიდებია სიტყვებს და ერთი ბუმბერაზი სანტიმენტალური წერილი გაუკრავს „ისრის“ ფურცლებზე, სადაც უბრალო იკლიკანტობის მეტი არაფერია და სრულებით ვერ მაკმაყოფილებს მე. რადგან ბ-ნ მახარაძემ მოისურვა ამ თავის თავად მარტივ საკითხის გართულება, მეც ერთი დამრჩენია: უფრო გარკვევით გავიმეორო ის, რაც უკვე ვთქვი „ისრის“ მე-137 ნომერში.

პირველ ყოვლისა ბოდიშს ვიხდი ბ-ნ მახარაძის წინაშე, „შარშანწინ“-ის მაგივრად „შარშან“-ი ვიხმარე. ეს, მართალია, შეცდომაა, მაგრამ—უნებლიე. ბ-ნ. მახარაძეც დამეთანხმება, რომ ასეთ შეცდომას მე შეგნებულად არ ჩავიდენდი, რადგან „შარშან“-ი უფრო ხელსაყრელია ჩემთვის და უფრო აცხოველებს ჩემ შეკითხვის საფუძვლიანობას. მეორე ჩემი „ტყუილი“ მდებარეობს იმაში, ვითომ მე ბ-ნ მახარაძეს ძალად მოვახვიე თავზე სიტყვა „შეპირება“, თუმცა იმას „არავითარი პირობა არ მოუცია და არც შეეძლო მოეცა“ ჩემთვის. აი, როგორ იყო საქმე:

ჩავაბარე თუ არა ფული ბ-ნ მახარაძეს, ვთხოვე, „მოგზაურის“ შემდეგ ნომერშივე გამოეცხადებინა ეს შემოწირულება. ჩემ თხოვნაზე მახარაძემ მომიგო: „რადგან „მოგზაური“ იხურება, ამიტომ არ ვიცი დანამდვილებით, გამოვა თუ არა კიდევ იმისი შემდეგი ნომერიო; თუ გამოვიდა, თქვენი ფულიც იქნება შიგ მოხსენებული, თუ არა და მაშინ „სხივის“ პირველ ნომერშივე მოვიხსენიებთ“. მე მადლობა გადავუხადე ასეთ პასუხისათვის და წამოვედი. გავიდა რამდენიმე დღე. „მოგზაურის“ ნაცვლად „სხივი“ გამოვიდა. გამოსვლისთანავე გადავათვალიერე ახალი გაზეთი და რაკი ვერაფერი ამოვიკითხე ჩემ ფულის შესახებ, მივედი „სხივის“ რედაქციაში და ვკითხე ბ ნ მახარაძეს მიზეზი. მან მიპასუხა: „თქვენ მიერ გადმოცემული ფული დღეს უნდა ყოფილიყო გაზეთში მოხსენებული, მაგრამ სჩანს, ასოთამწყობთ ვეღარ უშოვნიათ ადგილი სადღეისო ნომერში წერილების სიმრავლის გამო, და შემდეგ ნომერში უთუოდ მოვიხსენიებთ“. დაღამდა. გათენდა. არც მეორე დღის „სხივში“ იყო გამოცხადებული რამე; მეორე დღეს მესამე დღე მოჰყვა, მესამეს—მეოთხე და, ამნაირად, ისე დაიხურა „სხივი“ (სულ 15-დე ნომერი გამოვიდა), რომ არ იქნა და არ ეღირსა ჩემ წერილს იმის ფურცლებზე გამოცხადება.

ბ-ნი მახარაძე ამბობს: „ბ. დუნდუას განზრახ ჩირქის მოცხება უნდა სურდეს ჩემთვისო“. გარწმუნებთ, ბ-ნო მახარაძე, რომ სრულებით არა მსურს მე თქვენთვის ჩირქის მოცხება, მაგრა ამას კი გკითხავთ: თუ „სხივის“ თითქმის ყოველ ნომერში იყო მოხსენებული სხვა და სხვა პირთაგან წვრილ-წვრილად შემოწირული ფული შემომწირველთა გვარებით, რატომ ჩემი განცხადება, რომელიც სამიოდე სტრიქონს მოითხოვდა, ვერ გახდა „სხივის“ ერთის კუნჭულის ღირსი? თუ 1905 წლის ნოემბრის საზოგადო განსაცდელმა ჩემ მიერ გადმოცემულ ფულის რაოდენობის გამოცხადებას შეუშალა ხელი, რად მოხდა, რომ იმავე საზოგადო განსაცდელმა სხვა შემომწირველთა განცხადებების და იმათ გვარების დაბეჭდვასაც არ შეუშალა ხელი? **ვ. დუნდუა.**

---

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში ჩვენ, სადგურ ტატლეს მუშების, პროტესტს წინააღმდეგ ვინმე ბატონ მერკურისა, რომელმაც ყოველ კვირეულ გაზეთ «მასხარის» მეოთხე ნომერში ინება ჩვენი შეურაცყოფა. ავტორი ასე იწყებს: „დაროჟნი მასტერის ა. ტყემალაძის რაპორტი за № 400,000 14-го дня Господину Начальнику Юсубъ-ханъ Мамедбеку“. ბ-ნო ნაჩალნიკო! ვფიცავ ყოვლის შემძლებელ ღმერთს, მამას, ძეს და სულის-წმინდას, რომ ჩემ მუშებს დღეში 12 საათზე მეტს არ ვამუშავებდე; ნარდ სამუშავარზე ათ შპალზე მეტს არ ვაცვლევინებდე; ათი „ლიშნი“ კაცის მეტი არ მყავდეს, მუშის მიღებაზედ თითო თავი შაქრის მეტს არ ვღებულებდე და ოცჯერ მეტს დედას არ ვაგინებდე“. ჩვენ მუშები უცხადებთ წერილის ავტორს ზიზღს ზემოდ ჩამოთვლილ პროვოკატორულ სიცრუისათვის და ვაცხადებთ ყველა მუშა ამხანაგების საყურადღეოდ, რომ ა ტყემალაძისთვის არც თავი შაქრები მიგვიტანია ქრთამში, არც 12 საათი უმუშავებია მუშებისთვის (ვმუშაობთ ნორმალურად), არც ნარდად ათი შპალები გამოგვიცვლია და არც დედა უგინებია არავისთვის. ბატონ მერკურს ჩვენ, მუშები, იმისთვის გამოვეპასუხეთ, რომ ამხანაგმა მუშებმა არ იფიქრონ ვითომ ჩვენ, ტატლეს მუშები, ვარღვევდეთ საზოგადო მუშების პრინციპებს. რომ ნამდვილად გამოირკვეს ეს ცილის წამება, ვთხოვთ ბ-ნ მერკურს გამოგვყვეს სამედიატორო სამართალში. ჩვენის მხრით ვნიშნავთ სამ კაცს მედიატორებად. ბ-ნმა მერკურმაც დანიშნოს სამი მედიატორე და ადგილი, სადაც შეიყრებიან საქმის გასარჩევად. არა უგვიანეს შვიდის დღისა მოველით პასუხს. ამასთან უადგილოდ არა ვთვლით გავაცნოთ საზოგადოებას, რომ 1906 წელს გაზეთ «ლამპარ»-ში (№ 50), ბ-ნ ულმობელის წერილში, თითქმის ასეთივე ბრალდება იყო მოთავსებული ჩვენზე. იმ წერილში მოყვანილ ბრალდებების გამოსაკვლევად სადგურ ტატლეს გზის ოსტატმა (დაროჟნი მასტერმა) ა. ტყემალაძემ გამოიწვია გაზეთის საშუალებით ულმობელი სამედიატორო სასამართლოში, მაგრამ მან დღემდის არავითარი პასუხი არ გასცა (ეტყობა გასამართლებელი საბუთები არა ჰქონდა ბ. ულმობელს). ეს შენიშვნა იმისთვის მოგვყავს, რომ, რამდენადაც ჩვენ მუშებმა გამოვიკლიეთ, ბ-ნი ულმობელი და რედაქტორი გაზეთ „მასხარა»-სი შეცდომაში შეუყვანია მერკურს ამგვარ ცილისწამების და სიცრუის გამოქვეყნებით თავის პირად უკმაყოფილებისა გამო ა. ტყემალაძისადმი. მერკურმა არც ტყემალაძის ცოლი დასტოვა გაუკენწრავი და გესლიანის ენით შეეხო უდანაშაულო ადამიანს.

ჩვენის მხრით მედიატორეებად ვასახელებთ სვიმონ დიმიტრიძე მახარობლიძეს, ნიკოლოოზ ორჯონიკიძეს და გიორგი მამაცაშვილს.

**ხელს აწერს 38 მუშა.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივლისი

### რუსეთში.

**პენზა.** პენზის სამაზრო მიწის მომწესრიგებელმა კომისიამ საგლეხო ბანკისაგან მიიღო 18 მამული, რომელიც 20,555 დესეტინას შეიცავს. განზრახულია გასასყიდად 74 მამული—53,917 დესეტინა.

**პერმი.** აღმოაჩინეს მებრძოლ ორგანიზაციის ბინა. იპოვნეს ტანისამოსი, ორი ყუმბარა დი იარაღი. სამი კაცი დააპატიმრეს.

**ბორისოგლებსკი.** სამაზრო საეროზო კრებაზე აირჩიეს მემარჯვენენი და ზომიერნი. მეორე საარჩევნო კრებაზე აირჩიეს ზომიერნი.

**მოგილიოვი.** სამაზრო მიწის მომწესრიგებელ კომისიაში ბევრმა გლეხმა შეიტანა თხოვნა. ციმბირში გადასახლებას თხოულობენ.

**ეკატერინოსლავი.** «ნიჟნე-დნეპროვსკოე“-ს პლატფორმაზე მოჰკლეს რკინის გზის სახელოსნოს დარაჯი. მკვლელობა პარტიულ ნიადაგზე მოხდა.

**კისლოვოდსკი.** რკინის გზის სადგურთან სამი კაცი თავს დაესხა ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გაევსკის. საგრძნობლად დასჭრეს, საათი და ას მანეთზე მეტი ამოაცალეს.

**პერმი.** მატავალიხის საარყე დუქანში ყუმბარა შეაგდეს. ნოქრის ცოლი მოკვდა.

**ლოძი.** ვალუტაში საღამოთი თავისს სახლში მოჰკლეს მუშა.

პანამიცის გზატკეცილზე მოჰკლეს მუშა.

გაფიცულთა რიცხვი თვალსაჩინოდ შემცირდა. პოზნანსკის ფაბრიკა მუშაობს. ფაბრიკის ქუჩაზე მოჰკლეს მუშა.

**ხაზაროვსკი.** ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა დავცელმა 118 000 მანეთი მიითვისა და, როგორც ამბობენ, იაპონიაში გაიპარა.

**სამარა.** 9 კაცი ავად გახდა საეჭვო ავადმყოფობით. 5 გარდაიცვალა. ბაქტერიოლოგიურის გამოკვლევით დამტკიცდა, რომ ავადმყოფობა ხოლერაა. ადმინისტრაცია საჭირო ზომებს იღებს.

**სარაპული.** ცარიცინის მაზრის სოფ. პესჩანკაში 28 ივნისიდან 9 ივლისამდე 8 კაცი გახდა ავად რაღაც შავი ჭირის მზგავსს სენით. ორი მათგანი გარდაიცვალა. ავადმყოფობა ალბად ასტრახანის გუბერნიიდანაა შემოტანილი. დროზე მიღებულ ზომებით სენის გავრცელებას ბოლო მოეღო.

**მარიუპოლი.** დააპატიმრეს ტაგანროგში მეარტელეს გაძ რცვაში მონაწილეობის მიმღები. მაშინ მეარტელეს 30,000 მანეთი წაართვეს.

**ელისავეტგრადი.** სოფ. ივანოვკაში, შევაკოვის მამულში ორმა სტრაჟნიკის ტანისამოსს გადაცმულმა მოჰკლა სოფლის სტაროსტა.

**პეტერბურგი** რადგან სამარაში ხოლერა გაჩნდა, სამარა და სამარის გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშ ადგილადაა გამოცხადებული. სამარაში გაიგზავნა მთავარსაექიმო ინსპექტორის თანაშემწე შმიდტი.

ოდესაში, ორის კაცის გარდა, შავი ჭირით ავად არავინ გამხდარა. ქალაქის საავადმყოფოს მოსამსახურე, რომელიც 4 ივლისს ავად გახდა, ეხლა რჩება. გემებში 500 ვირთაგვა გასინჯეს, მაგრამ შავი ჭირის მიკრობი არც ერთს არ აღმოაჩნდა.

თავ. ბორგეზე დილით ცარსკოე სელოში მოვიდა, ბორგეზეს საჩუქრად ორი ჟეტონი მიართვეს. დაუხვდნენ 14 ავტომობილით. საღამოზე ნადიმს გამართავენ.

**მოგილიოვი.** გომელში 18 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე რკინის გზის სადგურისაკენ ეტლით მიდიოდა პრუსიის ქვეშევრდომი მაქსიმილიანე ფრანკოვსკი. ჩამკოვის ქუჩაზე სამი შეიარაღებული კაცი დაეცა. წაართვეს 6000 მანეთი. მძარცველებს გამოუდგნენ. იმათ ფული დააგდეს და ქალაქ გარედ ნოვაკოვსკის ტყეში მიიმალნენ. ტყეს კაზაკები და სტრაჟნიკები შემოერტყნენ. ფული ფრანკოვსკის დაუბრუნეს. 17 ივლისს 8 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა მემამულეს. წაართვეს 390 მანეთი. ოთხი კაცი დაიჭირეს.

**ლიუბლინი.** 18 ივლისს ზამოსტსკის ქუჩაზე მოჰკლეს მუშა.

**სიმბირსკი.** საგლეხო ბანკმა გლეხებს გარდასცა 65,000 დესეტინა, ხოლო საუფლისწულო უწყებამ 66,000 დესეტინა.

**ნოვოროსიისკი.** ხელმწიფე პეტერგოფიდან ბალტიის ზღვაში წავიდა იმპერატორ ვილჰელმის შესახვედრად. ხელმწიფეს მოგზაურობის დროს ახლავან მინისტრები სასახლისა ბარონი ფრედერი, საგარეო საქმეთა იზვოლსკი, საზღვაო მინისტრის ამხანაგი ბოსტრემი, გოფმარშალი გრაფი ბენკენდორფი, სასახლის მინისტრის კანცელარიის უფროსი გენერალ-მაიორი მოსოლოვი, კონტრ-ადმირალი ნილოვი, გენერალ მაიორი ტატიშჩევი, ფლიგელ ადიუტანტი გეიდენი, ფლიგელ ადიუტანტები დრენტელნი და ბოისმანი, გერმანიის საზღვაო ატტაშე, პირველ რანგის კაპიტანი გინცე, ბერლინცი რუსის საზღვაო ატტაშე თავ. დოლგორუკოვი.

**ელისავეტგრადი.** სადგურ მასტაკოვკასთან ლესნიჩის ცოლმა ჭასთან ყუმბარა იპოვნა. ქალმა არ იცოდა რა იყო და გადააგდო. ყუმბარა გასქდა და ქალი მძიმედ დაიჭრა.

20 ივლისი

### უცხოეთში.

**ზალამბოლი.** მინისტრის ვალი იუწყება: კასტორაში გაჩნდა ბერძენთა რაზმი, 60 კაცისაგან შემდგარი. დაედევნენ. 17 ივლისს შეტაკება მოხდა ამ რაზმის 25 კაცთან; 14 მოჰკლეს, 11 დაატყვევეს. გაზეთების ცნობით, ტყეში, კასტრატისა და ლუნინცის სოფლებს შუა, შეტაკება მოხდა ბერძნების რაზმთან. რაზმელთაგან 40 მოჰკლეს და 9 დაატყვევეს.

**ჰააგა.** სამშვიდობო კონფერენციის კომისიამ 25 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 5 ისა მიიღო ინგლისის წინადადება კონტრაბანდის მოსპობის შესახებ. წინააღმდეგნი იყვნენ: რუსეთი, გერმანია, შეერთებული შტატები, საფრანგეთი და ჩერნოგორია. ამიტომ წინადადება კვლავ უნდა განიხილონ. ოთხმა დელეგატმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

**ტანჟერი.** კაზანბლანკიდან საშიში ამბები მოდის. ბევრმა ებრაელმა ქალაქი დასტოვა. როგორც ამბობენ, სამი ადგილობრივი ერი ქალაქს დაეცა. თვალით მნახველი ირწმუნება, რომ ადგილობრივ მკვიდრთ 17 ივლისს ქალაქი დაიჭირეს და საღმრთო ომი გამოაცხადეს. მიღებულის ცნობით, მოკლულია 5 ფრანგი, 2 იტალიელი და ერთი ესპანელი. მკვიდრნი ძარცვენ უქნებს იკლებენ. ნავთ-სადგურის მაშენებელი ფრანგები მოჰკლეს. 17 ივლისს საღამოთი რამდენმამე ევროპიელმა ქალაქიდან გაქცევა მოახერხა. საფრანგეთის ელჩი იქვე დარჩა.

**პარიზი.** კაზანბლანკის ამბები მართლდება. შესაძლებელია, ცნობა გადაჭარბებული იყოს. მთავრობამ კაზანბლანკში მყოფ უცხოელების საშველად ზომები მიიღო.

**ტოკიო.** გამოქვეყნებულია კორეის იმპერატორის ბრძანება კორეის ჯარის დათხოვნის შესახებ.

**ტანჟერი.** კაზანბლანკის ფაშამ არ შეასრულა საფრანგეთის ელჩის მოთხოვნილება მოკლულ ევროპიელების გვამებთან სამხედრო ყარაულის დაყენების შესახებ. ფაშამ სთქვა, პატრონები არა გვაქვსო. ელჩის დაჟინებულ მოთხოვნის შემდეგ, ფაშამ სამხედრო დარაჯები მისცა ფრანგ ექიმს მერლეს. არაბებმა ექიმი გემამდე მიაცილეს. მერლე ტანჟერში გაემგზავრა კრეისერის „გალილე“-ს დასახმარებლად. ჯარის კაცებმა ექიმს გაცილებისათვის ფული მოსთხოვეს 8 მოკლულ ევროპიელში 5 ფრანგია.

**პარიზი.** კრეისერმა „ფორმან“-მა, რომელიც აზორის კუნძულებთანაა, ბრძანება მიიღო, შეუერთდეს კრეისერებს „ნონდე“-ს და „დიუშაილ“-ს მარკოს წყლებში. „გალილე“-ს უფროსი კაზანბლანკში მოვიდა და საფრანგეთის ელჩთან ერთად გუბერნატორი ინახულა. გუბერნატორს განუცხადა, თუ ევროპიელებს რამე დაუშავდათ, პასუხის მგებელი შენ იქნებიო.

**სეული.** იაპონელის ჯარმა გაფანტა რამდენიმე ასი კორეელი, რომელნიც შეკრებილიყვნენ, როცა შეეტყოთ კორეელ ჯარის დათხოვნის ამბავი. სეულის გარნიზონის 2000 კაცს 19 ივლისს იარაღი უნდა აჰყარონ. იარაღ აყრილ ჯარს ერთი წლის ჯამაგირს მისცემენ. ეს განკარგულება იმპერატორის მცველ რაზმს არ შეეხება.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. აბალიშვილი.**


# განცხადებანი

**არტურ შნიცლერის თხზულება**

## „ფერხული“

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი **ია ეკალაძე-ცინცაძისა.**

წიგნის ფასი 30 კაპ., ვინც 150 ცალს იყიდის ნაღდ ფულზედ, დაეთმობა 30 პროცენტი, ვინც 100 ცალს—25 პროც., 50 ცალს—20 პრ. ამავე პირობით შეიძლება მიმართონ კიროჩნი ქუჩაზე. ს. ბერძნიშვილს, № 11 (6—6.—1)

---

**მშვენიერი ბაღი ნაჭრებათ დაყოფილი**

## საბურთალოზე

თავ. ხიმშიაშვილისა და მაკაროვის მამულის შუა, 15 წუთის სავალია ქალაქიდან, იყიდება ნაჭრობლივ, თითო ნაწილი 200—300 ოთხკ. საჟენამდის. ფასი 1 მანეთიდამ 2 მანეთამდე. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. ვინც ნაღდზე იყიდის, იმას რამდენიმე პროცენტა დაეკლება.

**ისყიდება აგრეთვე საბურთალოზე,** მუშტაიდის პირდაპირ, მიწა ნაწილებად დაყოფილი. იკითხეთ წყნეთის ქუჩაზე № 2. **სანდრო მინდიაშვილთან** (2—217—1).

---

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**უოველ დღე, კვირეებს გარდა.**

**დილით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიანიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გეღლიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. ოზერზნინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი** (150—ხალ.—118)

---

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

აცხადებს, რომ 1907 წ. 25 ივლისს, დილის 12 საათისთვის, იმის თანადასწრებით, დანიშნულია ვაჭრობა საქალაქო დაწესებულებებისთვის საჭირო შეშის მოტანაზე.

ვისაც ვაჭრობა სურს, პირობის გაცნობა შეუძლიან გამგეობის 1 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—2)

---

## კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

**ლ. [illegible]**

**კბილის საექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანზე (პუშკინის ქ. 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე

ფასი მკურნალობისა:

საექიმო რჩევა საზოგადოდ . . . . 20 კ.
ერთი კბილის ან ძირის ამოღება. . 20 „
კბილის გაწმენდა . . . . . . . . . 50 „
„ „ არის უფრო ძვირიც
პლომბა გუდაპერჩისა . . . . . . . . 50 „
„ „ ცემენტისა. . . . 1 მ.
„ „ მეტალიური. . . 1 „
„ „ ვერცხლისა ამალგამა 1 „ 50 „
„ „ ემალისა . . . . . . 1 „ 50 „
„ „ ფაი ფურისა . . . . 3 „
„ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე.
„ „ წმინდა ოქროსი. . . 3 „
„ „ უფრო ძვირიც.
ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი:
„ „ დიოტორიტიული. . 1 „
„ „ კრამპონისა . . . . 1 „ 50 „
ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით:
„ „ თითო კავი . . . . 1 „
შტიფტის კბილები ოქროზე . . 3 „
კორონკა ლოგანისა . . . . . . 4 „
კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ
ამოღება კბილისა უტკივილოდ ანესტეზიით . . . . . . . . . . 1 „
საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ
აპარატი კბილების გასასწორებლად
ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ.
და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ.

(100—ბუხ.—22)

---

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

## კეფირი ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძმეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—48) პატივ. **ო. კორონი**

---

გამოვიდა და ისყიდება

## ა. საკუელისა

ახალი წიგნი

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში

წიგნი ღირს 20 კ და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების“ და „Новая Рѣчь“-ის მაღაზ. (0—უ.—11)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება კახეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნოთმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იამვალისა . . . . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალები საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.

(—10)